ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #245/6

თბილისი „7." „11." 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ **„სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"** (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა ჩაჩხუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ ს/ს „ელიტ-ელექტრონიქსი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მატიტიაჰუ დევიდ ლეშემის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) დუშეთის შშმპ პანსიონატის საჭიროებისათვის მტვერსასრუტების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება - 39700000 - საოჯახო ტექნიკა; დეტალური CPV-39713430 - მტვერსასრუტები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შემსყიდველის ფილიალის დუშეთის შშმპ პანსიონატის საჭიროებისათვის 2 (ორი) ცალი მტვერსასრუტის (BOSCH-BSD3081) შესყიდვა, ერთი ცალი მტვერსასრუტის ღირებულება შეადგენს 275 (ორასსამოცდათხუთმეტი) ლარს, სულ 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, „მიმწოდებლის" მაღაზიიდან, მისამართი: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 24ª.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. საქონლის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და სასაქონლო ზედნადებს.

6. გარანტია

6.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

6.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

6.3. „მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადაა მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 4 წელი.

6.4. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

6.5. „მიმწოდებელი" ვალდებულია საგარანტიო ვადის პერიოდში შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.6. გარანტიის მოქმედების პერიოდში, „მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველს" უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

6.7. საგარანტიო მომსახურება არ განხორციელდება, თუ დარღვეულია პირობა, რომელიც მითითებულია „მიმწოდებლის" მიერ მიწოდებულ საგარანტიო ბარათში.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

7.2 ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას 5.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

8.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

8.1.3. საქონლის მიწოდებისთანავე გადასცეს შემსყიდველს საგარანტიო ბარათი.

8.1.4 უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველისაგან შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

8.1.5 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

8.1.6 დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დროულად აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

8.2.2 დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს 'შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1 მხარეთა შეთანხმებით;

15.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

15.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

15.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, შემსყიდველის ფილიალის დუშეთის შშმპ პანსიონატის უფროსი დარეჯან თომაძე.

16.2 წინამდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

16.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

16.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

16.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

17.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", სამი _ "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. #144
სახელმწიფო ხაზინა
კოდი # TRESGE22
ა/ა # 200122900
ს/კ # 202465153

ანა ჩაჩხუნაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

ს/ს „ელიტ ელექტრონიქსი"
ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. #24
ს/ს "თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ა #GE69TB0600000120467205
ს/კ #202268928

მატტიაშუ დევიდ ლუშემი
დირექტორი